



**ener2i – მეცნიერებიდან ინოვაციამდე ენერჯეტიკაში:**

„თანამშრომლობის გაძლიერება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან ენერჯეტიკულ კვლევებსა და ენერგო-ინოვაციების შორის კავშირების გასაძლიერებლად“ (ENER2i)

**ტექნიკური დავალება (ToR)**

## ინოვაციური ვაუჩერების კონკურსი საქართველოში

თარიღი:	02 თებერვალი 2015
ვერსია:	1.3
პასუხისმგებელი ორგანიზაციები	კავშირი “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო” - საქართველო; ee energy engineers (ee), გერმანია; სოციალური ინოვაციების ცენტრი (ZSI), ავსტრია
დოკუმენტის შინაარსი	ტექნიკური დავალებაში წარმოდგენილია პროექტი ener2i-ის ფარგლებში გამოცხადებული ინოვაციური ვაუჩერების კონკურსის მოთხოვნები, საპროექტო განაცხადის წარდგენისა და შერჩევის პროცედურები.



This project has received funding from the European Union's Seventh Framework Programme for research; technological development and demonstration under grant agreement no 609532.

## შინაარსი

1	წინასიტყვაობა .....	3
2	კონკურსი .....	4
3	კონკურსში მონაწილეობის პირობები .....	5
3.1	დასაშვები კრიტერიუმები .....	5
3.2	სააპლიკაციო ფორმა .....	5
4	შერჩევის პროცესი .....	6
4.1	წინასწარი შეფასება .....	6
4.2	საბოლოო შეფასება .....	7
5	კონფიდენციალურობა და ინფორმაციის დაცულობა .....	7
6	კონკურსის გამარჯვებულები .....	8
7	საპროექტო განაცხადის გაგზავნა .....	8

# 1 წინასიტყვაობა

ენერჯის მიწოდება, მოხმარება და ინოვაციური საქმიანობების სტიმულირება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში. ენერგორესურსების ეფექტური გამოყენება და ინოვაციები განახლებადი ენერჯის სფეროში და მდგრად ენერგეტიკაში საშუალებას იძლევა სწრაფად გადაიჭრას ისეთი სოციალურად აქტიური პრობლემები, როგორცაა: ენერგორესურსების მიწოდება, ენერგორესურსების მოხმარების ზრდა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები.

ener2i პროექტის მიზანია ბიზნესისა და კვლევითი სექტორის მჭიდრო თანამშრომლობის გზით ინოვაციური და მდგრადი გადაწყვეტილებების შემუშავება აღნიშნული გამოწვევების გადაჭრისთვის. აღსანიშნავია, რომ კვლევების არსებული შედეგები არ არის საკმარისად დანერგილი ინოვაციურ პროცესებსა და პროდუქტებში, ვინაიდან თანამშრომლობა კვლევით ცენტრებსა (ინსტიტუტები, უნივერსიტეტები) და ბიზნეს სექტორს შორის ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში. იმისათვის, რომ ბიზნეს სექტორსა და კვლევით ცენტრებს შორის შეიქმნას ე.წ. „ხიდი“ და დაჩქარდეს ინოვაციური პროცესები, „ener2i“-ს პროექტი კონცეტირებულია შემდეგ ამოცანებზე:

- **ამოცანა 1:** საწარმოებში, ენერჯო კომპანიებისა და მრეწველობაში ინოვაციური პროცესების გაზრდა და ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესება ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის კუთხით.
- **ამოცანა2:** ცოდნის გადაცემა და ინოვაციური მხარდაჭერა ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის დარგში ტრანს-ნაციონალური თანამშრომლობის გზით;
- **ამოცანა 3:** მდგრადი კავშირების ჩამოყალიბება კვლევასა და ინოვაციებს შორის ცოდნის გადაცემის ეფექტური მეთოდებით აღმოსავლეთ ევროპის მონაწილე ქვეყნებში - მოლდოვეთში, სომხეთში და საქართველოში;
- **ამოცანა 4:** კვლევით ცენტრებსა და ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის დარგში და საერთაშორისო ურთიერთობის ხელშეწყობა ევროკავშირისა და მონაწილე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://www.ener2i.eu/>

პროექტ „ener2i“-ის ერთ-ერთ ამოცანას, რომელიც აღწერილია ტექნიკურ დავალებაში (ToR) წარმოადგენს საქართველოში ინოვაციური კონკურსის განხორციელება. კონკურსის მიზანია მოახდინოს ინოვაციური პროექტების ინიცირება განახლებადი და ენერგოეფექტურობის დარგში პირდაპირი დაფინანსების გზით პროექტის შემუშავების ადრეულ ეტაპზე. მცირე და საშუალო საწარმოების, მათ შორის დაწყებ (start-up) და შვილობილ (spin-off) კომპანიებს საშუალება მიეცემათ საკუთარი პროექტების განხორციელების მიზნით დაუკვეთონ სამეცნიერო-კვლევითი მომსახურება მეცნიერ მუშაკებს და ამავედროულად, ხელი შეუწყონ ბიზნეს სექტორსა და კვლევით ცენტრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

კონკურსი ხორციელდება „ener2i“ პროექტის ფარგლებში, რომლის კონსორციუმი დაკომპლექტებულია შემდეგი ორგანიზაციებით: „ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ენერგეტიკული სააგენტო“ – (გერმანია), კავშირი „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ - (საქართველო), „სოციალური ინოვაციების ცენტრი - (ავსტრია). კონკურსი ტარდება საქართველოში კავშირ „ენერგოეფექტურობის ცენტრის“ მიერ.

## 2 კონკურსი

ინოვაციური ვაუჩერების კონკურსი	
თემები	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევითი თემები და საპროექტო იდეები განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის დარგში;</li> </ul>
სამიზნე ქვეყანა	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველო</li> </ul>
ბიუჯეტი	<ul style="list-style-type: none"> <li>ექვსი (6) ინოვაციური ვაუჩერი, თითო პროექტის ბიუჯეტი 4,000 ევრო;</li> </ul>
მონაწილეები	<ul style="list-style-type: none"> <li>მცირე და საშუალო საწარმოები, მათ შორის დამწყები (start-ups) და შვილობილი (spin-offs) კომპანიები;</li> <li>საქართველოში დარეგისტრირებული კომპანია/ ბიზნესი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ინოვაციური ვაუჩერების (გრანტი) მიღებისა;</li> </ul>
შეფასების პროცესი	<ul style="list-style-type: none"> <li>წინასწარი შეფასება (კონკურსში მონაწილე კომპანიების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობა);</li> <li>საბოლოო შეფასება (მიღებული საპროექტო განაცხადების შეფასება);</li> </ul>
შეფასება (საბოლოო შეფასება)	<ul style="list-style-type: none"> <li>კონსორციუმის სტრუქტურა;</li> <li>პროექტის აღწერა (2 გვერდი);</li> <li>განხორციელება და ფინანსური გეგმა (3 გვერდი);</li> </ul>
დაფინანსების კრიტერიუმები (დაშვებული შესყიდვები)	<ul style="list-style-type: none"> <li>განხორციელება - ორიენტირებული კლევით და განვითარებით საქმიანობებზე და მომსახურებაზე;</li> <li>მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები;</li> </ul>
კონკურსის ხანგრძლივობა	<ul style="list-style-type: none"> <li>კონკურსის გამოცხადების თარიღი: 04 მარტი, 2015;</li> <li>კონკურსის დახურვის თარიღი: 04 მაისი, 2015;</li> <li>გამარჯვებულების გამოვლენა 1 ივნისი, 2015;</li> </ul>
ლონსძიებები	<ul style="list-style-type: none"> <li>დაჯილდოვების ცერემონილი (ექვსი (6) გამარჯვებული საპროექტო განაცხადი) ener2i საბროკერო ღონისძიებაზე თბილისში <b>1-2 ივნისი, 2015;</b></li> </ul>
ვებ-გვერდი	<ul style="list-style-type: none"> <li><a href="http://www.ener2i.eu">www.ener2i.eu</a>;</li> <li><a href="http://www.eecgeo.org">www.eecgeo.org</a>;</li> <li>აპლიკაციის ატვირთვა ელექტრონულად „ener2i“ პროექტის ვებ-გვერდის დახმარებით;</li> <li>საჭირო დოკუმენტები ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთად;</li> </ul>

ცხრილი1: ინოვაციური ვაუჩერების კონკურსი - სტრუქტურა.

## 3 კონკურსში მონაწილეობის პირობები

### 3.1 დასაშვები კრიტერიუმები

ინოვაციური ვაუჩერების კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში დარეგისტრირებულ მცირე და საშუალო ბიზნის წარმომადგენლებს, მათ შორის დამწყებ (start-up) და შვილობილ (spin-off) კომპანიებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ინოვაციური ენერჯეტიკის, მათ შორის განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების საქმიანობასთან. პროექტის აპლიკანტები უნდა შეესაბამებოდნენ ევროკავშირის მიერ დეკლარაციაში განცხადებულ განსაზღვრებას<sup>1</sup> (2003/361/) მცირე და საშუალო საწარმეობის შესახებ;

ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- საქართველოში დარეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმო, კონკურსზე საპროექტო განაცხადის წარდგენის თარიღის ჩათვლით;
- კონკურსის ფარგლებში არ ფინანსდება პროექტები, რომლებმაც უკვე მიიღეს თანადაფინანსება ევროკავშირისგან;
- აპლიკანტი უნდა თანამშრომლობდეს სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციასთან;
- პროექტის განხორციელების ვადა (ინოვაციური ვაუჩერის გამოყენების პერიოდი/ვადა) არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან;

### 3.2 სააპლიკაციო ფორმა

ინოვაციური ვაუჩერების კონკურსში მონაწილეობის მიზნით უნდა ეწვიოთ „ener2i“ პროექტის ვებ-გვერდს, შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა ონლაინ რეჟიმში და ატვირთოთ ვებ-გვერდზე. სააპლიკაციო ფორმა (გთხოვთ, იხილოთ <http://www.ener2i.eu/>) უნდა შეივსოს ინგლისურ ენაზე და შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან:

#### ნაწილი A

პროექტის სახელწოდება

აპლიკანტის მონაცემები

#### ნაწილი B<sup>2</sup>

#### ინფორმაცია კონსორციუმის შესახებ (მაქსიმუმ ½ გვერდი)

1. მოკლე ინფორმაცია თქვენი კომპანიის შესახებ, მათ შორის საქმიანობის სფერო, თანამშრომელთა რაოდენობა, პროდუქციის წლიური ბრუნვა (2014 წ.), დაარსების წელი;

<sup>1</sup>მცირე და საშუალო საწარმოები - დეფინიცია: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენს საწარმოს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 250 ადამიანს და წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს ანდა წლიური ბალანსი არ აღემატება 43 მილიონ ევროს. European Commission - EN NB-60-04-773-EN-C 92-894-7909-4 – „The new SME definition – User guide and model declaration“; [http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/sme-definition/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/sme-definition/index_en.htm)

<sup>2</sup>ტექსტი უნდა იყოს წაკითხვადი, ამისათვის გამოიყენეთ ფონტის ზომა არანაკლებ 11 (Arial) ან 12 (Times New Roman).

- საკონტაქტო ინფორმაცია (მათ შორის კომპანიის ვებ-გვერდი, თუ არის ხელმისაწვდომი) და ინფორმაცია კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ.
- მიუთითეთ პროექტის ფარგლებში ნებისმიერი სახის საერთაშორისო თანამშრომლობა (მაგალითად, თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან).

### **ინოვაციური პროექტის აღწერა (მაქსიმუმ 1 გვერდი)**

*აღწერეთ პროექტის ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები*

- აღწერეთ, განახლებადი ენერჯისა თუ ენერგოეფექტურობის რომელ საკითხზე ან პრობლემის გადაჭრის საკითხზე იმუშავებს თქვენი კომპანია/საწარმო სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციასთან ერთად;
- აღწერეთ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროდუქციის ანდა მომსახურების ინოვაციურობა;
- აღწერეთ მოსალოდნელი შედეგები, რომელიც ინოვაციური ვაუჩერის მიღებით განხორციელდება; მათ შორის ინოვაციური გადაწყვეტილება, მომსახურება ანდა ტექნოლოგია;

### **განხორციელების გეგმა (მაქსიმუმ 1 გვერდი)**

*წარმოადგინეთ განხორციელების მოკლე გეგმა*

- აღწერეთ, თუ როგორ გეგმავთ განხორციელოთ ინოვაციური პროექტი, მათ შორის მართვა და თანამშრომლობა კვლევით სამეცნიერო ორგანიზაციასთან;
- აღწერეთ დროში გაწერილი პროექტის განხორციელების გეგმა (დაგეგმილი საქმიანობები) 6 თვის განმავლობაში;
- აღწერეთ საბაზრო პოტენციალი, სამიზნე ბაზარი და მარკეტინგული სტრატეგია თქვენი ინოვაციური გადაწყვეტილების, მომსახურების ანდა ტექნოლოგიისა.

### **ფინანსური გეგმა (მაქსიმუმ 1/2 გვერდი)**

- აღწერეთ კატეგორიების მიხედვით (ტექნიკური დავალების (ToR) მიხედვით, 8 გვერდი) რაში დახარჯავთ ინოვაციური ვაუჩერის გრანტს (4,000 ევრო). მიუთითეთ რაოდენობა და მოკლე დასაბუთება (განმარტებითი ტექსტი);
- შესაძლებლობის შემთხვევაში, აღწერეთ თქვენი კონტრიბუცია პროექტის განხორციელებაში;

## **4 შერჩევის პროცესი**

წარდგენილი საპროექტო განაცხადების შეფასება მოხდება ორ ეტაპად (წინასწარი შეფასება & საბოლოო შეფასება). საბოლოო შეფასების დროს გამოვლინდება ექვსი (6) გამარჯვებული საპროექტო განაცხადი, რომელსაც გამოავლენს კომპენტენტური ჟიური. ჟიური დაკომპლექტებული იქნება ოთხი (4) საერთაშორისო ექსპერტისგან, წარდგენილი „eneri2i“-ის პროექტის პარტნიორების მიერ ევროკავშირის ქვეყნებიდან (ee, eseia) და ორი (2) ადგილობრივი ექსპერტისგან, წარდგენილი კავშირი „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“-ს მიერ.

### **4.1 წინასწარი შეფასება**

წინასწარი შეფასების დროს მოხდება საპროექტო განაცხადების შესაბამისობის განსაზღვრა კონკურსში მონაწილეობისთვის საჭირო მოთხოვნებთან (3.1 დასაშვები კრიტერიუმები). თუ

აპლიკანტი ვერ დააკმაყოფილებს დასაშვებ კრიტერიუმებს, იგი ვერ შეძლებს კონკურსში მონაწილეობის მიღებას, მიუხედავად წარმოდგენილი განაცხადის ხარისხისა და შინაარსისა.

### დაშვების კრიტერიუმები:

- მონაწილეობის ზოგადი პირობები;
- პროექტის დროულად წარდგენა (გამოცხადებულ ვადებში);
- განაცხადის სისრულე (ინფორმაცია კონსორციუმის შესახებ, პროექტის აღწერა, განხორციელების გეგმა, ფინანსური გეგმა, და სხვა საჭირო ინფორმაცია);
- თემატური მიმართულება (კვლევითი თემა განახლებადი ენერჯისა და ენერგო ეფექტურობის სფეროში);
- ენობრივი მოთხოვნა (განაცხადი უნდა იყოს წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე);
- მცირე და საშუალო საწარმო, რომელიც პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს კვლევით სამეცნიერო ორგანიზაციასთან;
- ინოვაციური პროექტის ხანგრძლივობა (6 თვე);

## 4.2 საბოლოო შეფასება

საბოლოო შეფასებას (წინასწარი შეფასების გავლის შემდეგ) მოახდენს საერთაშორისო და დამოუკიდებელი ჟიური, რომელიც საქმიანობს განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროში. ჟიური შეაფასებს კონსორციუმის სტრუქტურას, წარმოდგენილი ცოდნის გადაცემას, ინოვაციური იდეის ხარისხს, პროექტის განხორციელების რეალობას და ვაუჩერის დაფინანსებით მიღებულ შედეგს.

### შეფასების კრიტერიუმები:

- ზოგადი ინფორმაცია/კონსორციუმი (20 %)
  - მცირე და საშუალო საწარმოს თანამშრომლობა კვლევით სამეცნიერო ცენტრთან, პროექტში ჩართული მხარეების თანამშრომლობის გამოცდილება;
  - თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან და საერთაშორისო ურთიერთობის ხელშეწყობა;
- ინოვაციური იდეა/პროექტის აღწერა (40 %)
  - ინოვაციის ხარისხი და აქტუალობა, არსებული ტექნოლოგიების/გადაწყვეტილების გასხვავება, მოსალოდნელი შედეგი;
  - პროექტის შედეგების შესაძლო გამოყენება პროდუქციაში ან მომსახურებაში;
- განხორციელება და ფინანსური გეგმა (40 %)
  - პროექტის განხორციელების ხარისხი, ვაუჩერის (გრანტი) გამოყენების მართებულობა;
  - საბაზრო პოტენციალი, მარკეტინგული განვითარების სტრატეგია;

## 5 კონფიდენციალურობა და ინფორმაციის დაცულობა

წარმოდგენილი იდეები და დოკუმენტები წარმოადგენს კონფიდენციალურს და გამოიყენება მხოლოდ კონკურსის განახორციელების მიზნით. კონკურსის შედეგები (გამარჯვებულების სახელი და გვარი, დაწესებულება და პროექტის სახელწოდება) გამოქვეყნდება „ener2i“ -ის ვებ-გვერდზე.

## 6 კონკურსის გამარჯვებულები

უმაღლესი შეფასების მქონე ექვსი (6) საუკეთესო გამარჯვებული საპროექტო იდეა დაჯილდოვდება 4,000.00 ევროს ღირებულების ვაუჩერით. თითოეული გაცემული ექვსი (6) გრანტი უნდა დაიხაჯოს კვლევისა და განვითარებაში ჩართულ ადამიანებზე ან მგზავრობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის გადაცემას/გაზიარებას საერთაშორისო დონეზე. ჩვეულებრივ, ვაუჩერები დახარჯული იქნება საპროექტო განაცხადში წარმოდგენილ ინოვაციურ ტექნოლოგიაზე ან მომსახურებაზე.

### ინოვაციური ტექნოლოგია ან მომსახურება, რომელიც პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

- კვლევისა და განვითარების მომსახურება, ინოვაციური პროდუქციის ან მომსახურების განვითარებისათვის, როგორცაა:
  - ტექნოლოგიისა და ბაზრის კვლევა;
  - ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
  - კვლევა წარმოების ტექნოლოგიაზე;
  - კვლევები და ისეთი ასპექტების შესწავლა, რომელიც მიმართულია ბაზრის ხელმისაწვდომობაზე და განვითარებაზე;
  - ენერგეტიკული და ინოვაციური აუდიტები;
- კვლევასა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობების განხორციელება, როგორცაა:
  - სამშენებლო ან საინჟინრო მომსახურება;
  - პროტოტიპების შემუშავება (მათ შორის პროდუქცია/მასალა & მოწყობილობა);
  - ეკოლოგიური უსაფრთხოება;
  - სამგზავრო ხარჯები (საერთაშორისო პარტიორებთან თანაშრომლობის მიზნით);

ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურება შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ადგილობრივი და საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტების მიერ.

### კონტრაქტი, გადახდის პირობები და ანგარიშგება

გამარჯვებული მცირე და საშუალო საწარმო კონტრაქტს გააფორმებს კავშირ „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“-სთან. მთლიანი გრანტის 60% (2,400.00 ევრო) გადაირიცხება კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, ხოლო დარჩენილი თანხის 40% (1,400.00 ევრო) გადაირიცხება ექვსი (6) თვის შემდეგ ანგარიშგების (თხრობითი & ფინანსური) წარდგენის შემდეგ. ბენეფიციარებმა უნდა წარმოადგინონ ანგარიში მიღებული შედეგების მიხედვით (პროექტის ანგარიში მაქსიმუმ 2 გვერდი, ფინანსური ანგარიში - 1 გვერდი პლიუს დანართები მაგ., ფოტოები).

## 7 საპროექტო განაცხადის გაგზავნა

გთხოვთ, საპროექტო განაცხადი მოამზადოთ და გააგზავნეთ ონლიან რეჟიმში, რომელიც უნდა აიტვირთოს „ener2i“ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.ener2i.eu/>

კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:



ორგანიზაცია: კავშირი „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“

საკონტაქტო პირი: ელენე გვილავა, ლიანა ღარიბაშვილი

ელ-ფოსტა: [e\\_gvil@eecgeo.org](mailto:e_gvil@eecgeo.org); [l\\_gari@eecgeo.org](mailto:l_gari@eecgeo.org)

ტელეფონი: + 995 32 224 25 40; + 995 32 224 25 41

ტექნიკური ხასიათის შეკითხვის შემთხვევაში (საპროექტი განაცხადის გაგზავნა) გთხოვთ, დაუკავშირდეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: [office@ener2i.eu](mailto:office@ener2i.eu)

**საპროექტო განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადა არის: 04 მაისი, 2015, 17:00 (თბილისის დროით).**

**შეფასების შედეგები გამოვლინდება: 1 ივნისი, 2015**

<b>მნიშვნელოვანი თარიღი:</b>	
ინოვაციური ვაუჩერების კონკურსის გამოცხადება	4 მარტი, 2014
საპროექტი განაცხადის გაგზავნის თარიღი	<b>04 მაისი, 2015; 17:00 (თბილისის დროით)</b>
შეფასების შედეგები/ გამარჯვებულების გამოვლენა	<b>1 ივნისი, 2015</b>
დაჯილდოვების ცერემონიალი /პროექტების პრეზენტაცია	<b>1-2 ივნისი, 2015</b>
განხორციელებული პროექტის ანგარიშგება	<b>16 დეკემბერი, 2015</b>

ცხრილი 2: მნიშვნელოვანი თარიღები

კონკურსის ჩატარების პროცედურა არ ხდება ავტომატურად, გერმანიის ანდა ევროკავშირის სხვა ქვეყნის შესწავლების პროცედურების ღაცვის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების პროცედურა არ აღბენს რაიმე იურიდიულ-სამართლებრივ უფლება-მოვალეობას. სასამართლო ინსტანციაში წარღბენა არ ღაიშვება.